



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030157387565921

№ 01-346/თ

01 / სექტემბერი / 2021 წ.

„ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების ადრეული დიაგნოსტიკა და მართვა ზოგად საექიმო პრაქტიკაში“ - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციისა (გაიდლაინი) და კლინიკური მდგომარეობების მართვის სახელმწიფო სტანდარტის (პროტოკოლი) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 3 აგვისტოს №226/თ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1. „ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების ადრეული დიაგნოსტიკა და მართვა ზოგად საექიმო პრაქტიკაში“ - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციისა (გაიდლაინი) და კლინიკური მდგომარეობების მართვის სახელმწიფო სტანდარტის (პროტოკოლი) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 3 აგვისტოს №226/თ ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

ა) პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ¹“ და „კ²“ ქვეპუნქტების, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის № 473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:“;

ბ) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების პრევენცია, დიაგნოსტიკა და მართვა პირველად ჯანდაცვაში - (პროტოკოლი) (დანართი №2)“.

2. ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ დამტკიცებული დანართი № 2 (ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების პრევენცია, დიაგნოსტიკა და მართვა პირველად ჯანდაცვაში - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი)) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2. ბ რ ძ ა ნ ე ბ ა ძალაშია ხელმოწერისთანავე.

